

საერთო პირობების დანართი N23 - ანგარიშთა პაკეტი

1. ანგარიშთა პაკეტი წარმოადგენს საბანკო პროდუქტების/მომსახურების ერთობლიობას, რომლის ფარგლებშიც კლიენტი იხდის ანგარიშთა პაკეტის საკომისიოს, რაც მოიცავს და ფარავს ანგარიშთა პაკეტში შემავალი საბანკო პროდუქტებით/მომსახურებით სარგებლობის შესაბამის საკომისიოს იმ პირობებით, რაც განსაზღვრულია კონკრეტული ტიპის ანგარიშთა პაკეტისთვის. ამასთან, თუ ბანკის მიერ სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ანგარიშთა პაკეტში შემავალი საბანკო პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში, კლიენტს დამატებითი საკომისიოს გადახდის გარეშე ექნება ხელმისაწვდომობა შესაბამის საბანკო პროდუქტზე/მომსახურებაზე, რაც ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად არ ვრცელდება საბანკო პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობის ფარგლებში განხორციელებულ ქმედებასთან/ოპერაციასთან დაკავშირებით დადგენილ საკომისიოზე ან/და ნებისმიერი სხვა სახის საკომისიოზე/საფასურზე.
2. საბანკო პროდუქტზე/მომსახურებაზე, რომელიც არ შედის ანგარიშთა პაკეტში ვრცელდება ბანკში დადგენილი საკომისიო.
3. თუ ბანკის მიერ სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ანგარიშთა პაკეტით სარგებლობის შესაძლებლობა კლიენტს მიეცემა შესაბამისი განაცხადის შევსებისა და ხელმოწერის შემდეგ, თუმცა კლიენტის მიერ განაცხადის შევსება და ხელმოწერა არ ნიშნავს ბანკის მხრიდან ანგარიშთა პაკეტით უპირობოდ მომსახურების ვალდებულებას და ბანკი უფლებამოსილია ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარი განუცხადოს კლიენტს ანგარიშთა პაკეტით სარგებლობაზე.
4. ანგარიშთა პაკეტით სარგებლობა არ გულისხმობს მასში შემავალი საბანკო პროდუქტის/მომსახურების ავტომატურად გააქტიურებას, შესაბამისად ანგარიშთა პაკეტში შემავალი საბანკო პროდუქტებით/მომსახურებით სარგებლობა შესაძლებელია ბანკის მიერ დადგენილი სტანდარტების/პროცედურების და პირობების შესაბამისად, მათ შორის დადგენილი წესით კლიენტის მიერ შესაბამისი საბანკო პროდუქტის/მომსახურების მიღების/გააქტიურების მიზნით ბანკისთვის მიმართვის შემთხვევაში.
5. ანგარიშთა პაკეტით სარგებლობის დაწყებისთანავე ანგარიშთა პაკეტის პირობები გავრცელდება როგორც კლიენტის ახალ, ისე კლიენტის არსებულ საბანკო პროდუქტებზე/მომსახურებაზე, თუ შესაბამისი საბანკო პროდუქტი/მომსახურება განსაზღვრულია ანგარიშთა პაკეტით.
6. ანგარიშთა პაკეტის საკომისიოს გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგი პირობის შესაბამისად: პირველი თვის/წლის საკომისიოს გადახდა უნდა განხორციელდეს ანგარიშთა პაკეტის გააქტიურებისთანავე. ამასთან, ყოველი შემდგომი თვის საკომისიო გადახდილ უნდა იქნეს შესაბამისი თვის 15 (თხუთმეტი) რიცხვამდე, ხოლო ყოველი მომდევნო წლის საკომისიო შესაბამისი წლის დაწყებისთანავე. ამასთან, ნაკრები N5 და ნაკრები N10 ანგარიშთა პაკეტის ყოველთვიური საკომისიოს გადახდის თარიღია ანგარიშთა პაკეტის გააქტიურების შესაბამისი რიცხვი.
7. ანგარიშთა პაკეტის ტიპებია:
 - 7.1. Account Package და Account Package Non-Residents ანგარიშთა პაკეტები;
 - 7.2. ნაკრები N5 და ნაკრები N10;
 - 7.3. SOLO ანგარიშთა პაკეტი, რომელიც თავის მხრივ იყოფა SOLO, SOLO FAMILY, SOLO CLUB, SOLO PAYROLL და SOLO INTERNATIONAL ანგარიშთა პაკეტებად.
8. Account Package და Account Package Non-Residents ანგარიშთა პაკეტებში შემავალი საბანკო პროდუქტები/მომსახურება და მათთვის დადგენილი პირობები:
 - 8.1. ანგარიში - 1 (ერთი) მულტისავალუტო უნივერსალური ანგარიში;
 - 8.2. ბარათი - 1 (ერთი) MasterCard Standard ან Visa Standard 1 (ერთი) პლასტიკური ბარათი, 1 (ერთი) American Express PLUS პლასტიკური ბარათი, 1 (ერთი) ციფრული ბარათი;
 - 8.3. ინტერნეტ ბანკი;
 - 8.4. მობილ ბანკი;
 - 8.5. ტელეფონ ბანკი;
 - 8.6. SMS ბანკი;
 - 8.7. ავტომატური გადახდები;
 - 8.8. მუდმივი საგადასახადო დავალება;

9. კლიენტი არ არის უფლებამოსილი ერთდროულად ისარგებლოს რამდენიმე ანგარიშთა პაკეტით, გარდა SOLO CLUB და SOLO ADDITIONAL ანგარიშთა პაკეტით ერთდროულად სარგებლობისა. ამასთან, თუ კლიენტის მიერ მოთხოვნილია, რომელიმე ანგარიშთა პაკეტით სარგებლობა და აღნიშნული მომენტისთვის კლიენტი უკვე სარგებლობს ანგარიშთა პაკეტით, მაშინ ახალი ანგარიშთა პაკეტით მომსახურების გააქტიურების შემთხვევაში ავტომატურად შეწყდება უკვე არსებული ანგარიშთა პაკეტით მომსახურება.
10. ნაკრები N5 ანგარიშთა პაკეტებში შემავალი საბანკო პროდუქტები/მომსახურება და მათთვის დადგენილი პირობები:
- 10.1. ანგარიში - 1 (ერთი) მულტისავალუტო უნივერსალური ანგარიში;
- 10.2. ბარათი - 1 (ერთი) MasterCard Standard ან Visa Standard 1 (ერთი) პლასტიკური ბარათი, 1 (ერთი) American Express PLUS პლასტიკური ბარათი, 1 (ერთი) ციფრული ბარათი;
- 10.3. ინტერნეტ ბანკი;
- 10.4. მობილ ბანკი;
- 10.5. ტელეფონ ბანკი;
- 10.6. SMS ბანკი;
- 10.7. ავტომატური გადახდები;
- 10.8. მუდმივი საგადასახადო დავალება;
- 10.9. ბარათის დაცვის მომსახურება - ტიპი - სტანდარტი კლიენტის არჩევანის შესაბამისად მის ერთ-ერთ ბარათზე;
- 10.10. ყოველთვიურად, ჯამურად 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით შემდეგი სახის ოპერაციები:
- 10.10.1. ინტერნეტ ბანკის და მობილ ბანკის მეშვეობით ლარში გადარიცხვა ბანკში არსებულ საბანკო ანგარიშზე;
- 10.10.2. ინტერნეტ ბანკის და მობილ ბანკის მეშვეობით ლარში გადარიცხვა ბანკის გარეთ არსებულ საბანკო ანგარიშზე;
- 10.10.3. გადახდები ინტერნეტ ბანკის და მობილ ბანკის მეშვეობით;
- 10.10.4. მუდმივი საგადახდო დავალება ლარში;
- 10.10.5. ავტომატური გადახდები;
- 10.10.6. კლიენტის სადებეტო ბარათის მეშვეობით ბანკის ბანკომატიდან ლარში თანხის განაღდება (გარდა იმ შემთხვევისა თუ სადებეტო ბარათის საბარათე ანგარიშს წარმოადგენს ერთვალუტიანი საბანკო ანგარიში უცხოურ ვალუტაში), ასევე კლიენტის სადებეტო ბარათის მეშვეობით ბანკის ბანკომატიდან ნებისმიერ ვალუტაში თანხის განაღდება, თუ სადებეტო ბარათის საბარათე ანგარიშს წარმოადგენს ერთვალუტიანი საბანკო ანგარიში ლარში.
- შენიშვნა:** წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული ყოველთვიური ჯამური თანხის დაანგარიშებისას, მასში გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი სახის ოპერაციების თანხის მოცულობა, თუმცა აღნიშნული ოპერაციების შესრულებისთვის კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს ბანკის მიერ დაწესებული სტანდარტული საკომისიო:
- Viber გადარიცხვის ოპერაცია;
 - გადახდები bog.pay.ge საშუალებით.
- წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული ყოველთვიური, ჯამური თანხის მოცულობის დათვლის პერიოდის ათვლა დაიწყება ანგარიშთა პაკეტის აქტივაციის თარიღიდან.
11. ნაკრები N10 ანგარიშთა პაკეტებში შემავალი საბანკო პროდუქტები/მომსახურება და მათთვის დადგენილი პირობები:
- 11.1. ანგარიში - 1 (ერთი) მულტისავალუტო უნივერსალური ანგარიში;
- 11.2. ბარათი - 1 (ერთი) MasterCard Standard ან Visa Standard 1 (ერთი) პლასტიკური ბარათი, 1 (ერთი) American Express PLUS პლასტიკური ბარათი, 1 (ერთი) ციფრული ბარათი;
- 11.3. ინტერნეტ ბანკი;
- 11.4. მობილ ბანკი;
- 11.5. ტელეფონ ბანკი;
- 11.6. SMS ბანკი;
- 11.7. ავტომატური გადახდები;

- 11.8. მუდმივი საგადასახადო დავალება;
- 11.9. ბარათის დაცვის მომსახურება - ტიპი - ბანკის გადაწყვეტილებით სტანდარტი ან სტანდარტ პლუსი, კლიენტის არჩევანის შესაბამისად მის ერთ-ერთ ბარათზე;
- 11.10. ყოველთვიურად, ჯამურად 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით შემდეგი სახის ოპერაციები:
- 11.10.1. ინტერნეტ ბანკის და მობილ ბანკის მეშვეობით ლარში გადარიცხვა ბანკში არსებულ საბანკო ანგარიშზე;
- 11.10.2. ინტერნეტ ბანკის და მობილ ბანკის მეშვეობით ლარში გადარიცხვა ბანკის გარეთ არსებულ საბანკო ანგარიშზე;
- 11.10.3. გადახდები ინტერნეტ ბანკის და მობილ ბანკის მეშვეობით;
- 11.10.4. მუდმივი საგადახდო დავალება ლარში;
- 11.10.5. ავტომატური გადახდები;
- 11.10.6. კლიენტის სადებეტო ბარათის მეშვეობით ბანკის ბანკომატიდან ლარში თანხის განაღდება (გარდა იმ შემთხვევისა თუ სადებეტო ბარათის საბარათე ანგარიშს წარმოადგენს ერთვალუტიანი საბანკო ანგარიში უცხოურ ვალუტაში), ასევე კლიენტის სადებეტო ბარათის მეშვეობით ბანკის ბანკომატიდან ნებისმიერ ვალუტაში თანხის განაღდება, თუ სადებეტო ბარათის საბარათე ანგარიშს წარმოადგენს ერთვალუტიანი საბანკო ანგარიში ლარში.
- შენიშვნა:** წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული ყოველთვიური ჯამური თანხის დაანგარიშებისას, მასში გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი სახის ოპერაციების თანხის მოცულობა, თუმცა აღნიშნული ოპერაციების შესრულებისთვის კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს ბანკის მიერ დაწესებული სტანდარტული საკომისიო:
- Viber გადარიცხვის ოპერაცია;
 - გადახდები bog.pay.ge საშუალებით.
- წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული ყოველთვიური, ჯამური თანხის მოცულობის დათვლის პერიოდის ათვლა დაიწყება ანგარიშთა პაკეტის აქტივაციის თარიღიდან.
12. კლიენტის მიერ ნაკრები N5 და ნაკრები N10 ანგარიშთა პაკეტის 1 (ერთი) თვის საკომისიოს სრულად და ჯეროვნად გადაუხდელობის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია კლიენტის თანხმობის/აქცეპტის ან/და შეტყობინების გარეშე დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ნაკრები N5 და ნაკრები N10 ანგარიშთა პაკეტით მომსახურება.
13. თუ განაცხადით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, კლიენტის მიერ Account Package ანგარიშთა პაკეტით, Account Package Non-Residents ანგარიშთა პაკეტით, ნაკრები N5 ანგარიშთა პაკეტით ან ნაკრები N10 ანგარიშთა პაკეტით მომსახურების შეწყვეტის მოთხოვნის შემთხვევაში ანგარიშთა პაკეტის მოქმედება შეწყდება იმ თვის ბოლოს, რომლისთვისაც კლიენტის მიერ უკვე გადახდილია ანგარიშთა პაკეტით მომსახურების ყოველთვიური საკომისიო. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ კლიენტი მიერ მოთხოვნილია: ა) Account Package ანგარიშთა პაკეტით ან Account Package Non-Residents ანგარიშთა პაკეტით მომსახურების შეწყვეტა და ნაკრები N5 ანგარიშთა პაკეტის ან ნაკრები N10 ანგარიშთა პაკეტით ან SOLO ანგარიშთა პაკეტით მომსახურების აქტივაცია; ან ბ) ნაკრები N5 ანგარიშთა პაკეტით მომსახურების შეწყვეტა და ნაკრები N10 ანგარიშთა პაკეტით ან SOLO ანგარიშთა პაკეტით მომსახურების აქტივაცია; ან გ) ნაკრები N10 ანგარიშთა პაკეტით მომსახურების შეწყვეტა და SOLO ანგარიშთა პაკეტით მომსახურების აქტივაცია, მაშინ შესაბამისი ანგარიშთა პაკეტის აქტივაცია განხორციელდება ამ პუნქტით განსაზღვრული ვადის დაცვის გარეშე.
14. SOLO ანგარიშთა პაკეტში შემავალი საბანკო პროდუქტები/მომსახურება და მათთვის დადგენილი პირობები:
- 14.1. პერსონალური ბანკირის მომსახურება (თუ განაცხადით სხვა რამ არ არის განსაზღვრული);
- 14.2. მომსახურება სპეციალიზებულ სერვის ცენტრებში - SOLO ლაუნჯებში (თუ განაცხადით სხვა რამ არ არის განსაზღვრული);
- 14.3. სატელეფონო ცენტრი, რომლის ტელეფონის ნომერია (+995) 032 2 444 400;
- 14.4. სპეციალური პირობები ანაბარსა და საკრედიტო პროდუქტებზე;
- 14.5. ბარათი:
- 1 (ერთი) SOLO Premium (Mastercard World Elite) ციფრული ბარათი SOLO ანგარიშთა პაკეტის მფლობელი კლიენტისთვის;

- 1 (ერთი) SOLO CLUB (Mastercard World Elite) ციფრული ბარათი SOLO CLUB და SOLO International ანგარიშთა პაკეტის მფლობელი კლიენტისთვის.
- 14.6. SOLO CLUB ანგარიშთა პაკეტით მომსახურების ფარგლებში SOLO CLUB ADDITIONAL პაკეტის გააქტიურების შემთხვევაში (რომელზეც სრულად ვრცელდება ანგარიშთა პაკეტისთვის წინამდებარე დანართით დადგენილი პირობები), SOLO CLUB ანგარიშთა პაკეტით განსაზღვრულ ბარათებთან ერთად, კლიენტი უფლებამოსილია ისარგებლოს შემდეგი დამატებითი ბარათებით:
- 14.6.1. 1 (ერთი) SOLO CLUB ბარათი;
- 14.6.2. 1 (ერთი) American Express Platinum ან American Express Gold ბარათი (American Express საკრედიტო ბარათზე 10000 (ათი ათასი) ლარზე ნაკლები ლიმიტის დამტკიცების შემთხვევაში, American Express ბარათის ტიპი განისაზღვრება ბანკის შეხედულებისამებრ);
- 14.6.3. 1 (ერთი) SOLO Premium ბარათი.
- 14.6.4. 1 (ერთი) SOLO PLUS Card ბარათი.
- 14.7. ბანკის მიერ განსაზღვრული პირობებით, სხვა (მათ შორის განცხადში მითითებული) საბანკო პროდუქტ(ებ)ი/მომსახურება;
15. SOLO ან Golden Lion (Golden Lion, Golden Lion Additional, Golden Lion Advanced) ანგარიშთა პაკეტით მომსახურების ფარგლებში ბანკი შესაძლებლობას აძლევს კლიენტს ისარგებლოს შემდეგი დამატებითი მომსახურებით და მასთან დაკავშირებული პირობებით:
- 15.1. Visa კონსიერჟის მომსახურება (გარდა SOLO Family ანგარიშთა პაკეტით მოსარგებლე კლიენტისა). ამასთან:
- 15.1.1. Visa კონსიერჟის მომსახურებით სარგებლობისთვის აუცილებელია, რომ კლიენტი ფლობდეს აქტიურ, Visa საერთაშორისო საბარათე სქემაში ჩართულ Visa Platinum ან/და Visa Signature ტიპის ბარათს;
- 15.1.2. კლიენტი ვალდებულია ბანკის მიერ დადგენილი ფორმით, დაადასტუროს Visa კონსიერჟის მომსახურების მიღების სურვილი;
- 15.1.3. VISA კონსიერჟის მომსახურება ექვემდებარება ავტომატურ გაუქმებას იმ შემთხვევაში, თუ:
- 15.1.3.1. კლიენტის კუთვნილი Visa Platinum ან/და Visa Signature ბარათის მოქმედების ვადის გასვლიდან გავიდა 2 (ორი) თვეზე მეტი პერიოდი;
- 15.1.3.2. კლიენტი ნებისმიერი მიზეზით აღარ სარგებლობს SOLO ან Golden Lion (Golden Lion, Golden Lion Additional, Golden Lion Advanced) ანგარიშთა პაკეტით;
- 15.1.3.3. ნებისმიერი მიზეზით შეწყდება გარიგება ბანკისთვის VISA კონსიერჟის მომსახურების კლიენტისთვის მიწოდების შესახებ, რომელიც გაფორმებულია ბანკსა და მესამე პირს შორის.
- 15.1.3.4. კლიენტის მიერ VISA კონსიერჟის ფარგლებში მომსახურების მიღების ბოლო მოთხოვნიდან გასულია 3 (სამი) თვე.
- 15.2. პირადი ასისტენტის მომსახურება SOLO CLUB და SOLO INTERNATIONAL ანგარიშთა პაკეტით მოსარგებლე კლიენტისთვის;
- 15.3. Priority Pass ბარათი (პირობები განსაზღვრულია პრივილეგიების მატარებელი არასაანგარიშსწორებო ბარათის - Priority Pass პირობებით, რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე: www.bankofgeorgia.ge. ამასთან, SOLO CLUB ანგარიშთა პაკეტით მოსარგებლე კლიენტის მიერ American express Platinum ბარათის ფლობის შემთხვევაში Priority Pass ბარათის მომსახურების საფასური შედის American express Platinum ბარათის საკომისიოში.
- 15.4. მობილ ბანკით მომსახურების ფარგლებში ინვესტიციების მოდულით სარგებლობისას შესაბამისი ანგარიშის მომსახურების ყოველთვიური საკომისიოს დაფარვა.
16. SOLO ანგარიშთა პაკეტით სარგებლობა შეუძლია ბანკის იმ კლიენტს, რომელიც აკმაყოფილებს ბანკის მიერ დადგენილ, SOLO ანგარიშთა პაკეტით სარგებლობისთვის დაწესებულ, კრიტერიუმებს, გარდა SOLO PAYROLL პაკეტისა. ამასთან, SOLO ანგარიშთა პაკეტში შემავალი SOLO FAMILY ანგარიშთა პაკეტი განკუთვნილია SOLO (Solo, Solo Club, Solo International) ანგარიშთა პაკეტით მოსარგებლე კლიენტების ოჯახის წევრებისთვის (მეუღლე, და, ძმა, დედა, მამა, შვილები 16 წლიდან), ხოლო SOLO PAYROLL სარგებლობისთვის სავალდებულოა ბანკსა და კლიენტს დამსაქმებელს შორის გაფორმებული იყოს სახელფასო პროგრამით სარგებლობის პირობები, რომლითაც გათვალისწინებული იქნება SOLO PAYROLL პაკეტით სარგებლობა, კლიენტის დამსაქმებელ კომპანიასთან შეთანხმებული პირობებით.

17. **ბანკი უფლებამოსილია:**
- 17.1. ნებისმიერ დროს, **კლიენტის** დამატებითი თანხმობის/აქცეპტის ან/და შეტყობინების გარეშე, სრულად ან ნაწილობრივ შეცვალოს (მათ შორის დააწესოს ან/და გააუქმოს) **SOLO ანგარიშთა პაკეტით** სარგებლობისთვის **კლიენტისთვის** დადგენილი კრიტერიუმ(ებ)ი;
- 17.2. ნებისმიერ დროს, საკუთარი შეხედულებისამებრ, სრულად ან ნაწილობრივ შეცვალოს (მათ შორის დააწესოს ან/და გააუქმოს) **ანგარიშთა პაკეტით** მომსახურების პირობები (მათ შორის **ანგარიშთა პაკეტში** შემავალი **საბანკო პროდუქტები/მომსახურება** ან/და **ანგარიშთა პაკეტის** ან/და **ანგარიშთა პაკეტში** შემავალი **საბანკო პროდუქტ(ებ)ის/მომსახურების საკომისიო/საფასური**, მისი/მათი გადახდის ვადა/ვადები და ა.შ.);
- 17.3. ნებისმიერ დროს (მათ შორის **ხელშეკრულების** ნებისმიერი პირობის დარღვევის შემთხვევაში), ცალმხრივად, სრულად ან ნაწილობრივ შეუწყვიტოს **კლიენტს ანგარიშთა პაკეტით** მომსახურება (მათ შორის, **SOLO ანგარიშთა პაკეტის** შემთხვევაში, სარგებლობის ნებისმიერ ეტაპზე, **კლიენტის** მიერ, **SOLO ანგარიშთა პაკეტით** სარგებლობისთვის **ბანკის** მიერ დადგენილი კრიტერიუმების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში);
18. ნებისმიერი მიზეზით **კლიენტისთვის SOLO (Solo, Solo Club, Solo International) ანგარიშთა პაკეტით** მომსახურების შეწყვეტის შემთხვევაში, ავტომატურად შეწყდება შესაბამისი **კლიენტის** ოჯახის წევრისთვის **SOLO FAMILY ანგარიშთა პაკეტით** მომსახურება.
19. ნებისმიერი მიზეზით **ანგარიშთა პაკეტით** სარგებლობის შეწყვეტის შემთხვევაში **ანგარიშთა პაკეტში** შემავალი **საბანკო პროდუქტით/მომსახურებით** სარგებლობისთვის **კლიენტზე** გავრცელდება შესაბამისი **საბანკო პროდუქტისთვის/მომსახურებისთვის ბანკის** მიერ დადგენილი **საკომისიო/საფასური**, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს შესაბამისი **საბანკო პროდუქტისთვის/მომსახურებისთვის ბანკის** მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. ამასთან, **კლიენტი** ვეღარ შეძლებს ისარგებლოს იმ **საბანკო პროდუქტით/მომსახურებით**, რომელიც **ბანკის** მიერ ექსკლუზიურად შემუშავებულია/განკუთვნილია მხოლოდ იმ **კლიენტებისთვის**, რომლებიც სარგებლობენ **SOLO ანგარიშთა პაკეტით**.
20. თუ **ბანკი** სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, ნებისმიერი მიზეზით **ანგარიშთა პაკეტით** სარგებლობის შეწყვეტის შემთხვევაში **კლიენტის** მიერ გადახდილი **ანგარიშთა პაკეტის საკომისიო კლიენტისთვის** სრულ ან ნაწილობრივ დაბრუნებას არ ექვემდებარება.
21. **ბანკი** უფლებამოსილია **ანგარიშთა პაკეტით** მომსახურების ფარგლებში **კლიენტის** ნებისმიერი სახის დავალიანება/გადასახდელი, **კლიენტის** დამატებითი აქცეპტის/თანხმობის გარეშე ჩამოწეროს **კლიენტის** ნებისმიერი სახის **ანგარიშიდან**, ხოლო თუ დავალიანება/გადასახდელი და **ანგარიშზე** რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის მასთან მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს **ანგარიშიდან**, კონვერტირებული თანხა კი მიმართოს შესაბამისი დავალიანების/გადასახდელის დასაფარად.
22. **SOLO PAYROLL** პაკეტის მომსახურების **საკომისიოს** ოდენობა განისაზღვრება **ბანკსა** და **კლიენტის** დამსაქმებელს შორის გაფორმებული სახელფასო პროგრამით სარგებლობის პირობებით და **SOLO PAYROLL ანგარიშთა პაკეტის** სარგებლობის შესახებ **განაცხადით**.